ახალბედა „მსახიობი“ ჯერ შეკრთა, ალბათ კოტე მარჯანიშვილს ჩემი გამოსვლა არ მოეწონია, მაგრამ შეამჩნია, რომ კოტე, ისე როგორც საგამოცდო კომისიის სხვა წევრები, გულთბილი დიმილით ამხვედებდა მას. ხოლო როდესაც გამოცდის დასასრულს გაუსინჯეს მას, სწენა და რიტმი, სანდრო ახმეტელი მიუახლოვდა. მხრებზე ხელი მგობრულად დაჰკრა და შეეკითხა:

— სადური ხარ, თმაზეუკუა ბიჭო?

— გარეგანული გახლავარ, ბატონო, ხაშიმდანი.

მერე ამდენი როგორ მოახერხე, შე ხაშიმლო, რომ გამომცდელენი და დამსწრე მახუტაშვილები ასე მოხიბულე? — და თმაზე ხელი აღერსიანად გადასვა. მეორე ღღეს მიხეილმა სტუდიაში ჩარიცხულთა სიაში თავისი სახელი და გვარიც ამოკითხა.

სტუდიაში სწავლის დროს მ. ყვარელაშვილმა პედაგოგების სიყვარული დაიმსახურა. მას, როგორც ბეჯითისა და ნიჭიერ სტუდენტს ალ. სუბიაშვილი-იუენის სახელობის სტიპენდია დაენიშნა.

დრამატულ სტუდიის დამთავრების შემდეგ მიხეილ ყვარელაშვილი რუსთაველის სახელობის თეატრის დასში ჩარიცხეს.

მისი დებიუტი ამ თეატრის სცენაზე იყო ახალგაზრდა ხვესური მწვემის როლი სპექტაკლში „ღამანა“. რმე კარგად მასოსეს, — იფიქრებს მიხეილ ყვარელაშვილი, — სანდრო ახმეტელი „ღამანას“ III მოქმედებაში ხვესურთა ღრეობისათვის როგორ სათუთად და ფეხიზად არჩევდა ხალხურ სიმღერას, სპექტაკლის მონაწილე მსახიობებს ვაგონურებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს — „მაშუკაკას“, „მრავალგაიფის“, „გუნთ შვიდი გურჯაენელი“... ბოლოს ამ უკანასკნელზე შეჩერდა. მაგრამ როცა ერთხელ შესვენებისას მსახიობებმა დღერფანში „ზამთარი“ წამოიწყეს, სანდრო ახმეტელმა გვითხრა:

— ბიჭებო, ხვესურთა ღრეობას სწორედ ეს ჰანეი დამაშვენებს. მართლაც, მან სიმღერა „ზამთარი“ საოცრად გაამდიდრა სპექტაკლი. ჩვენ კიდევ ერთხელ დაგრწმუნდით გამოჩენილი რეჟისორის უხადო მუსიკალურ გემოვნებაში.

ალექსანდრე ახმეტელის პერიოდულმა საცტაკო სპექტაკლმა რუსთაველის თეატრს დიდი გამარჯვება მოუტანა. 1930 წელს მოსკოვში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე ამ წარმატების უშუალო და აქტიური მონაწილე მიხეილ ყვარელაშვილიც იყო.

რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელის მზრუნველობით დავაკაცავა მიხეილ ყვარელაშვილი. აქ — დრამის ოსტატების გვერდით იწრთობდა იგი როგორც აქტიორი. „ღამანას“ შემდეგ მიხეილ ყვარელაშვილი მონაწილეობდა „თენულდში“, „ქართა ქალაქში“, „არღვევაში“, „ანზორში“, „ყამირში“ და სხვა სპექტაკლებში. ყოველთვის ისეთ როლებს ასრულებდა, სადაც სიმღერა იყო საჭირო.

1927 წელს სანდრო ახმეტელმა მ. ყვარელაშვილი ხმის გაასინჯად კონსერვატორიის პროფესორ ოლა მახუტაშვილი-შულგინასთან მიიყვანა. პროფესორს მოეწონა მიხეილ ყვარელაშვილის ლამაზი ტემბრის ლირიკული ტენორი, მუსიკალობა, სცენური გარეგნობა და გამომცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ თავის კლასში ჩარიცხა.

ოლა მახუტაშვილი-შულგინა მშობლიური მზრუნველობითა და სიყვარულით მუშაობდა მიხეილ ყვარელაშვილთან, შინადა აძლევდა ძირფას რჩევა-დარიგებას და შთამაგონებლად ეუბნებოდა: „მუსიკალურ-სცენური სახეების შექმნისას, საჭიროა შეუერთდე მუსიკას, მის გრძნობას და იდეას...“

მიხეილ ყვარელაშვილმა 1932 წელს წარმატებით დაამთავრა

სახელმწიფო კონსერვატორია. ამავე წლის დასასრულს შედგა მისი დებიუტი მალხაზის პარტიამ ზ. ფალაიშვილის ოპერა „დაისში“.

დებიუტანტის შესახებ ინდროინდეტი ქართული პრესის მრავალრიცხოვანი გამოცხადებიდან მოვიყვანო ერთ საყურადღებო შეფასებას, რომელიც გამოქვეყნდა 1932 წლის ერთსა, „ხელთყენებაში“: „თბილისის საოპერო თეატრი წარმოადგინა მოქცეა, როცა „დაისში“ აღნიშნა ვ. სარაჯიშვილის სსუნა. 1924 წლის 24 დეკემბერს დაიდგა პირველად „დაისი“ უსარაჯიშვილად. ამ დღეს ვ. სარაჯიშვილს გაუჩნდა პირველი მემკვიდრე ნ. ქუშიაშვილის სახით. 1932 წლის 24 დეკემბერს ოპერის პირველი სახალხო არტისტის გარდცვალების 8 წლის თავზე ვ. სარაჯიშვილი შესცვალა კიდევ ერთმა ღირსეულმა მემკვიდრემ. ეს არის მიხეილ ყვარელაშვილი“.

ასეთი დებიუტი არც თუ ისე ხშირია. რუსთაველის თეატრმა ისეთი დიდი დანატრეფსება გამოიჩინა, რომ მიხეილ ყვარელაშვილის საოპერო დებიუტთან დაკავშირებით იმ დღეს თავისი სპექტაკლი მოხსნა და ყველა რუსთაველელი ოპერის წარმოდგენას დაესწრო. როცა პირველი აქტის შემდეგ დასრულდა დარბაზში მუხარებ ტაშმა იგრიალა, სცენაზე გამოჩენილი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი ავიდა და ახალგაზრდა მომღერალს კულთბობლად გადაეცია.

სადებიუტო სპექტაკლის შემდეგ მიხეილ ყვარელაშვილი ზ. ფალაიშვილის სახელობის ოპერის თეატრში ჩაირიცხა. მომღერალი აღნიშნავს: „ყველა ჩემი პარტია ერთნაირად მიყვარს, მაგრამ მალხაზი — მინც ყველაზე მეტად, რადგან ამ ჩემს პირველსა „პირწმომ“ გამიკაფა შემოქმედებითი გზა საოპერო ხელოვნებაში... აქვე მინდა აღვნიშნო დიდი ზრუნვა და მხარდაჭერა ისეთი ადამიანებისაგან, როგორიც იყვნენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალაიშვილი და მისი ძმა — დირიჟორი ივანე ფალაიშვილი, რომელთა უფულო ხელშეწყობით შევიწყველე მალხაზის პარტია; ვარტუდე ნიჟურის საოპერო რეჟისორი ალექსანდრე წაწუნა, რომლის განახლებულ დღეებში შეუგა ჩემი დებიუტი, მუხარებელი დირიჟორები ვეგენი მიქელაშვილი და სტოლერმანი, რომელთა ხელშეწყობით დავოსტატები, როგორც საოპერო მომღერალი...“

მალხაზის შემდეგ მიხეილ ყვარელაშვილის მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ლენსკის პარტია ჩაიკოვსკის ოპერა „ვეგენი ოფენშიში“. მსახიობმა თავისი გასაგები მოუხაზა ლენსკის პარტიას. მან შექმნა ემოციური და პოეტური სახე, მაყურებელს ხიზლავდა ფაქიზი ღირისებით და ვოკალური გამომსახველობით.

მიხეილ ყვარელაშვილის საოპერო რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალფრედი (ვერდის ოპერა „ტრაავიატა“), რომლის სახეს მომღერალი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ხსნის. ალფრედი მისი შესრულებით სრულიადე არ არის მაღალი საზოგადოების ქარაფშუტა წარმომადგენელი, მიხეილ ყვარელაშვილი ხაზს უსვამს ალფრედის ხასიათის დადებით საწყისებს. ამ მხრივ იგი აგრძელებს საბუთთა საოპერო სცენაზე დამკვიდრებულ (ვერდოლ, გამოჩენილი რუსი ტენორის სსრკ სახალხო არტისტის ივანე კოზლოვსკის) საკუთუფსო ტრადიციებს. თავისუფლად ეძღვრება მომღერლის ხმა ალფრედის მთელი პარტიის შესრულების დროს. „ტრაავიატას“ ერთ-ერთი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ქართველ მომღერალს აღტაცებით მიმართა თბილისში გასტროლებზე ჩამოსულმა სსრკ სახალხო არტისტმა, ვიოლეტას პარტიის ბრწინავალ მუხრანულემბლა ელენე სტანკოვაშვილი: „თქვენ ისე თავისუფლად და მსუბუქად მღეროდით, რომ მე დამავიწყდა ჩემი ხნიერი ასაკი, ვადამეფო თქვენი ახალგაზრდული ენერჯია და მეც თქვენსაგან მსუბუქად და თავისუფლად ავმღერდი“. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ი. კოზლოვსკის შობაბედილება ვერდის „რიგოლეტოში“ პერკოვის პარტიის მოსმენისას. წარმოატება ხვდა მიხეილ ყვარელაშვილის პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანშოე“. ერთ-ერთ სპექტაკლში იგი პინკერტონის პარტიას მღეროდა თბილისში გასტროლებზე ჩამოსულ სახელგანთქმულ ავსტრიელ მომღერალთან ელზა




ტ. შარატა-ლობიძე, მ. ყვარელაშვილი, ა. ნექლანოვა

მისუგლთან ერთად. ოპერას დირიჟორობდა მისი მეუღლე, ვენის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი პულ-პულა.

განსაკუთრებით თავი ისახელა მიხეილ ყვარელაშვილმა 1937 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნების დღეების დღეებში. თბილისის ფალაიშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ოთხი სადგკადი სპექტაკლიდან სამ სპექტაკლში მონაწილეობდა: ზ. ფალაიშვილის „დაისში“ (მალხაზის პარტია), ე. დლიძის „ქეთი და კოტეში“ (კოტეს პარტია) და მ. ბაღანიძის „დარჯან გებერში“ (ნევის პარტია), ეს სპექტაკლები წარმოდგენილი იყო სსრკ დიდი თეატრის სცენაზე. ს. ინაშვილთან, ნ. ქუშიაშვილთან, დ. ანდლუპაქთან, მ. ნაყაშიძესთან, ნ. ცო-

მალხაზი (დაისში)



ვეროვანი მთიკა

ხელოვნების ერთი

კაბლი სკანეთში

კითხვა მათზე

სამანთში, საქართველოს ეს უღამაზესი და მეტად თავისებური კუთხე, ხელოვნების ძველთა უმდიდრეს საგანძურსაც წარმოადგენს. აქ თავმოყრილია ქართული ხელოვნების ყველა დარგის: არქიტექტურის, ფერწერისა და ქედურობის უდიდესი მნიშვნელობის ნიმუშები. მაგრამ ქართული ხელოვნების ნაწარმოებთან ერთად სვანეთის ეკლესიებში დაცულია უცხოური ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებიც.

სვანეთში ვხვდებით დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის მცირე ხელოვნების არა ერთ საყურადღებო ძეგლს. ერთი მათგანი — ვერცხლის კათხა — ინახება უშუალოდ თემის სოფ. ჩაქაშში, მაცხოვრის პატარა ეკლესიაში¹.



ვერცხლის კათხა (დეტალი)


ეს არის მაღალ ფეხზე შემდგარი კვერცხისებური ფორმის ჭურჭელი, რომლის ტანი წვეთისმაგვარი რელიეფური ბურთულებითაა დაფარული. ჭურჭლის ფეხს ხის ტანის ფორმა აქვს, მასზე ნახაზიანი კაცის პატარა ფიგურაა მოთავსებული.²

კათხა ქედურითაა შესრულებული. მთელი ჭურჭელი ოქროთია დაფერილი. ჭურჭლის ზედაპირის რელიეფი სრული სიზუსტით ნეგატიურად არის ასახული მის შიდა ზედაპირზე. კარგად შეიმჩნევა ქედვის კვალი. ფეხი შიგნიდან ღრუა, ჩამოცმულია რკინის სქელ ღერძზე, მისი ბოლოები კათხის ტანსა და სადგამზეა მიჩრჩილული. ხის მჭრელის პატარა ფიგურა (სიმაღლე — 3 სმ) ჩამოსხმულია და მიჩრდილია ხის ტანზე.

ძალზე რეალისტურადაა გადმოცემული ხის დაკორებული ტანის ფაქტურა, ჩამოჭრილი ტოტებით, დაღარული ზედაპირით, ქერქის ღრმა ნაოჭებით. აქ თითქმის ჯანრული სცენაა: ხეზე ასული, ცალი ხელით მასზე მოიჭიდებული ხის მჭრელი, დასარტყმელად მოქნეული ნახაზით.

ამგვარი კათხები ევროპაში მუასაუკუნეებში მტად გავრცელებული ყოფილა. არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება ვიკარაულოთ, რომ ძველად ასეთი ჭურჭლის მთელი სერიები იქმნებოდა. თავდაპირველად ამგვარი ფორმის ჭურჭელს უპირატესად ღვთისმსახურებისათვის ხმარობდნენ.

ჩვენი წულთაროცების პირველ ხუთ საუკუნეში სხვადასხვა მასალისაგან (ქვა, მინა, ლითონი) დამზადებულ ამ თანგას ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რაიმე ჩამოყალიბებული ფორმა, მაგრამ VI საუკუნიდან მოყოლებული ეს თასი უკვე ცოტად თუ ბევრად შეგუელ ფეხზეა შემდგარი და სწორედ ამ დროიდან ეს ჭურჭელი გადადის



უპირატესად ოქრომჭედლების სფეროში. ზიარებისათვის განკუთვნილი ეს თასები, ჩვეულებრივ, ვერცხლისაგან მზადდებიდა.

უკანა პერიოდებში, XIII საუკუნიდან, ამ ტიპის ჭურჭლები თანდათან განვიანებებს განიცდის, მისი ფეხი ამაღლდა, ფორმა დაიხვეწა, XIV-თვის ეს კაძები უფრო ღრმაა და ფეხის საკმაოდ მაღალია.

თუმცა ამგვარი ჭურჭლის წარმოშობა ქრისტიანულ რელიგიასთან არის დაკავშირებული, იგი მხოლოდ და მხოლოდ ღვინისასხურვლის საგანი არ იყო. XIV-XV ს-ებში (განსაკუთრებით XV ს-ში) სრულიად დამოუკიდებლად ვითარდება საერო მოხმარების ძვირფასი ლითონის ჭურჭლის წარმოება. ამ ხანის ევროპული სასმისები (ჩვენი კაძის მსგავსნი) მოქმედებენ, როგორც კითიკის გარკვეული წარმომავლები; ვითორი სასმისები თითქმის ყველა ამბურ-ცული ნახევარფერობით იყო შეკვლილი. თავდაპირველად ეს რელიგიური ბუნებრივი ორ მწკრივად იყვნენ განლაგებულნი სასმისის ზედარებით, ბურთოვლების ერთნაირ რაოდენობით ორსავე მწკრივში. ამ მწკრივების რიცხვი ხშირად ორმაგდება ან ოთხმაგდება. თუ ჭურჭელი სასურავიანია, ეს რელიგიური წიგნები უწყვეტად გადადიან სასურავზე. ნატიფი ფორმის ტარი მიღისმაგვარად არის დამაფრთხილი და, როგორც წესი, ღრუბთაა და მუქმავებული. ღარების რიცხვი მუდამ შეესაბამებოდა ამბურცულ სხეულთა რაოდენობას. ამ კანელურების მაგვარ ღარებს და რელიგიურ ნახევარფერობებს ჰქონდათ არა ორნამენტალური მნიშვნელობა, არამედ წმინდა კონსტრუქციული (ი.ე. ღვინივით მათ გითური არქიტექტურის სვეტს ადარებს, რომელსაც მხოლოდ კონსტრუქციული ამოცანა ეკისრებოდა). ამგვარი ე. წ. „კვიანეთური“ კაძების გადაღიან შემდეგ დროშიც და თვით XVIII ს-მდე ინარჩუნებენ როგორც თავის ფორმას, ასევე ამ თავისებურ რელიგიურ საკვალს.

მაღალ ფეხზე დაკრძობილი ვერცხლისასხურვები გერმანული რენესანსის უახლოესი ნივთის წარმომადგენლები. ისინი მფეხსა და ფორმების სურფას ამოიხდენ. ოქრომჭედლობის ეს ნამუშევრები ხშირად შთაბრძნობს წყაროა გამოქმნილი გერმანული მხატვრებისათვის, მათ ხშირად ვხვდებით ცნობილ მხატვართა გრაივერებისა და ნახატებში. ამ ჭურჭლებში მხატვრის თვალს იჩინებდა ნატიფი პროპორციები; ნათელი კონტური და ყველაზე მეტად ხაზთა მიქნელი დინება. ასეთი ჭურჭლის ისტატიკურ და შესრულებულ ნახატებს ვხვდებით დიუერისსა და პოლბანის ნახატებსა და გრაივერებში.

ამ ჭურჭლის აღსანიშნავად ლიტერატურაში პირბითად სულ სხვადასხვა სახელწოდება მიიღება: „knonrecht“ (კირჩისმაგვარი) — ზედაპირის რელიეფური საკვალის გამო: „Traubenbecher“ (ყურძნის თასი) — ასეთ ჭურჭელში ტარი დამუშავებულია ვაჭის ტანის მსგავსად; „Ananaspokal“ ან „Ananasbecher“ — ანანას ფორმასა და კანთან მსგავსების მიხედვით.

ჩვენს კაძისში ფეხის ნაცვალად ხის ტანის გამოყენება, თვით ჭურჭლის ღრმა, კვერცხისებური ფორმა უფრო იმ ჭურჭლს უახლოვდება, რომელიც „Traubenbecher“-ის სახელთაა ცნობილი.

მსგავსი ჭურჭლის აუცილებელ და მეტად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პატარა სულტატური ფიგურები, რომლებიც ამოიხედა ან სასმისის ტარს, ან მის სახურავს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ XV ს-ის დასასრულად გერმანული პროვანსტიკის უმეტესი ნაწილი მოდის სწორედ ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული სასმისების საკვალეებზე. იქნებოდა პლასტიკის მიეღი დარიც, რომელიც ქმნის ჭურჭლის შემამკობელ სულტატურ ფიგურებს, არაჩვეულებრივი მიზნობლივობის პატარა გამოსახულებებს, რომლებიც მიმარებულნი იყვნენ ვერცხლისა და ოქროს ჭურჭლებზე. ეს არ იყო რაღაც მორფეზარისტობა; თუმცა ეს იყო მცირე ხელნების — ars fabrilis-ის ნიშნები, ისინი შთაბრძნობენ იყვნენ დიდი ხელნების — ars-ით, და არა მხოლოდ შთაბრძნობენ: ეს პატარა ფიგურები თავდაპირველად იქმნებოდნენ ცნობილი მოქანდაკეებისა და პროფესიონალი მიმდებარე-

ბის მიერ, შემდეგ კი ისინი ლითონში გადაქონდათ ოქრომჭედლები. თუმცა იგი შემოხვდება, როცა შემსრულებლები ისტატიკური ქმნის თავისი ფიგურისათვის მოიღობენ.

ფიგურები სასმისების მეტად მრავალფეროვანი არიან: ხშირია მგებნის ფიგურა, Figdor-ის კოლექციის ე. წ. „შხამიან თასები“ („Giftkanne“) ეხვდებიან ბავშვის მგებნიერ ფიგურას; ასევე კოლექციის მეორე სასმისის სახურავზე ყალფე შემდგარი ხარის ფიგურაა. მ. როზენბერგს მიეძღვნა აქვს მიიღი ტაბალა³, სადაც თავმოყრილია მიიღი წყება ფიგურებისა, რომლებიც ამოიხედა სასმისებს. აქ ვხვდებით მიიკეთებებს, წმინდანებს, რანდებს და სხვ. ყველა ფიგურა ჩამოსხმულია. ყოველი მათგანი განსაკუთრებული ისტატიკითაა შესრულებული, თითოეულიც დამახასიათებელი ნიშნების გულმოდგინე გადმოცემით.

ჩვენი კაძის ფიგურა სწორედ ამ ჭურჭლის შემამკობელი ფიგურების ჯგუფს ეკუთვნის. ფიგურის მცირე ზომის მიუხედავად, იგი გულმოდგინათაა შესრულებული, დეტალურადაა დამუშავებული და სასმისი: მოკლე, ქართი მოჭირალი ახალუხისმსგავსი ზედა სამოსი, მონაოჭებული ქამრის ქვეშ. ფეხზე მას ჩქებები აცვია, მათი ყველა აბრეკვილია და ალაგ-ალაგ დანაოჭებული. თავზე ბეჭის ქუდი ახურავს. ასეთი ტანსაცმელი დამახასიათებელია გერმანული ელენობისათვის (გულუთა ომისა და მის შემდგომ პერიოდში) და მას მრავლად ვხვდებით იმ დროის გრაივერებსა და ნახატებზე⁴.

XIII ს-დან მოყოლებული, ცალკეული საომნასტრო სახელობის კაძის ნაცვალად, სადაც თავმოყრილი იყო ძვირფასი ლითონის ჭურჭლის წარმოება (სხვა ოქრომჭედურ ნაწარმთან ერთად), ქალაქებში იქმნება საამქროები. XIV ს-ში ასეთი საამქროები იქმნება გერმანიაში, შვედეთში, ნიდერლანდებში.

ჩვენამდე მოაწვია ოქრომჭედლების საამქროთა წესდებების მთელმა რიგმა, — მათ შორის ქალაქების: ნიურნბერგის, აუსტურენის, სტრასბურგის, ვენტის, რიგის, ვისმარის, ახენის, ბერლინის. სხვადასხვა ქალაქების პროდუქტის შორის შეიძლება გარკვეული განსხვავება შეინიშნოს, მაგრამ ხშირია ფორმის მსგავსება. ეს იმით იყო გაპირობებული, რომ გამოჩენილი ისტატიკის ხშირად უკვე თავდენენ თავის ნაცვალად ცნობილ კოლექტებს ნივთების შესრულებას მათ მიერ მიცემული მოდლების მიხედვით, რისთვისაც აძლევდნენ მათ თავის შტამებს მექანიკური გადატანისათვის ლითონში. ხელსაწათა ასეთ თანამშრომლობას უფროდ ჰქონდა არა მარტო ნივთი ქალაქის ფარგლებში, არამედ ადგილი ფართი მასშტაბისათვის. წესის თანახმად, ისტატს არ შეეძლო ყოლოდა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) 2-3 ანტიკურ მეტრი, ამიტომ ბევრი სამუშაოს დაგვირგობის შემთხვევაში ისტატი თავისთვის ამუშავებდა თავისი ქალაქის გარეთ მყოფ ხელსაწათს. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე ცნობილი ისტატის ხელმოწერილი ნივთი წარმოშობით სხვა ქალაქიდანაა.

ოქრომჭედლები წარმოების მოქმედებებში, XIV-XV ს-ში ევროპის ბევრ ქალაქში სახელსართა ფართი ქსელის წარმოქმნამ გამოიწვია საჭიროება თვითიული ქალაქის ხელისნებისათვის შექმნილიყო დამბედი, რაც ნივთის შესრულების ადგილს აღნიშნავდა. ეს იყო ე. წ. ქალაქის დამბედი: „Merzzeichen“, ან „Beschrzeichen“ (გერმ.) და „Poincon de décharge“ (ფრ.).

ჩვეულებრივ, ქალაქის დამბედი წარმოადგენდა ქალაქის სახელწოდების პირველ ასოს:

- N — ნიურნბერგი
- D — დრეზდენი
- L — ლიპციცი
- Z — ციურიხი და სხვ.

ქალაქის დამბედი გვერდით მითავსებული იყო ისტატის დამბედი.

ჩვენს კაძისზე დამბედი მშენივარად არის შენახული. კაძისის ზედა ნაწილში გარდადნენ ბურთოვლებს შორის დარჩენილ საკვალეებში მოთავსებულია ლათინური ასოები: ერთში — N, მეორე-

ში — M (ასობის ზომა — 0,4 — 0,5 სმ). ვარდა ამისა, კათხის სადგამზე ერთ-ერთი ბურთულის შეზნეული ზედაპირზე (ზურგის მხრიდან) გრაფიკულად მოცემულია სამი ასო BC, მათ ქვე-
მოთ ჰერალდიკური ფარი თევზის გამოსახულებით.

რაც შეეხება ლათინურ ასოს N-ს, როგორც აღვნიშნეთ, ეს ქალაქი ნიურნბერგის საამკროთა აღმნიშვნელი დამალა. აქ გასათვალისწინებელია, რომ ამ ასოს ფორმა დროთა განმავლობაში იცვლებოდა და დღეისათვის ცნობილია მისი 11 ფორმა, რომელთაგან თითოეული დროის გარკვეულ მონაკვეთში იყო ხმარებაში. ჩვენს კათხის N შეესაბამება ნიურნბერგის ქალაქის დამლის იმ ფორმას, რომელიც გავრცელებულია ამ ქალაქის ნაკეთობებზე XVI ს-ში და XVII ს-ის დასაწყისში.


ამგვარად, ჩვენი კათხა ნიურნბერგის ოქრომჭედელთა ნაწარმობაა. ეს ქალაქი, რომელსაც მარტინ ლუთერი „გერმანიის თვალის ჩინი და სმენა“ უწოდა, უკვე XIII ს-ში იცვება „თავისუფალ ქალაქად“, XV ს-დან იგი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრია, მისი ვაჭრები მრავალ ქვეყანასთან ვაჭრობენ, მის ისტატთა ნახელავი გააქვთ მსოფლიოს უმორეს კუთხეებში.

დღეისათვის ვეროპის ქალაქებისა და ვეროპის გამოჩენილ ოქრომჭედელთა დამლები მშენებნიარაა შესწავლილი და ამის გამო ხშირად სიზუსტით შეიძლება ამა თუ იმ ოქრომჭედლური ნაკეთობის ავტორის გამოცნობა. მაგრამ შესწავლილი და გამოვლენილი დამლების ძლიერ დიდი რაოდენობა, ერთი და იგივე ნიშნის ხშირი ხმარება სხვადასხვა ისტატთა მიერ სულ უმნიშვნელო ცვლილებებით, ხშირად ართულებს ავტორის ვინაობის გარკვევას.

ლათინური ასო M ისეთი ფორმით, როგორც ჩვენს კათხაზე, უფრო სწორედ — მონორამა M და H მინერალთა XVII ს-ის დასაწყისის ნიურნბერგელი ოსტატის Heinrich Mack-ის დამდად. ამგვარი დამდა ნიურნბერგის ქალაქის დამლის გვერდით აღმოჩენილია ორ ვერცხლის ჭურჭელზე: * შტუტგარტიდან და ამსტერდამიდან. ერთ მთავარზე სწორედ ხის მჭერლის ფიგურაა მოთავსებული.

ნიურნბერგის საქალაქო ნიშნისა და ისტატის დამის გვერდით კიდევ ერთი დამლის არსებობა ჩვენს კათხაზე თითქმის გავლებია. მაგრამ ამის ასნა შეიძლება, თუ გაავითვალისწინებთ, რომ ხშირად ცნობილ ისტატთა ფორმები და შტამპები იგზავნიებოდა სხვა ოქრომჭედელთა სახელოსნოებში, სხვა ქალაქებში კი. შესაძლებელია, რომ ნივთის შემსრულებელი ისტატტიც მოდელის ავტორის დამის გვერდით თავის საკუთარ დამსა სვამდა. შესაძლებელია, ორი ისტატის დამლის არსებობა იმან განაპირობა, რომ ჭურჭლის ავტორი და მისი შემამკობელი პატარა სკულპტურული ფიგურის ავტორი არ იყო ერთი პიროვნება. ეს სასებით დასაშვებია, რადგან XVI და XVII სს-ებში, განსაკუთრებით კი XVII ს-ში ხშირი იყო ჭურჭლის დეკორატიული საძეკულის, პატარა სკულპტურული ფიგურების შექმნა ცნობილი მიქანდაკეების მიერ. ასე იყო მაშინ, როდესაც ალბრეხტ დიურერი უფროსი⁶, ან ლუტცა უფროსი და ცნობილი ნიურნბერგელი ოქრომჭედელი ჰანს კელერი⁷ მხარდამხარ ქმნიდნენ პატარა სკულპტურულ ფიგურებს. ასეთი თანამშრომლობა ძალზე გავრცელებული ჩანს გვიანი შუა საუკუნეების ვერცხლზე ოქრომჭედლობაში.

ჩვენი კათხის მსგავსი ჭურჭელი, რომელიც ფორმით ძალზე წააგავს იტალიის რენესანსულ თავის მალაღ ფიგურ, და რომელსაც ტარზე ან მის საცდალ სკულპტურული ფიგურები აქვს მოთავსებული, ცნობილია, როგორც ტიაპური გერმანული ვერცხლის ჭურჭელი; უფრო მეტიც, გარკვეულია, რომ მზიად ნაწილად, ან ამ ნაწილის შემკულობაში სხვადასხვა ფიგურების — ატლანტების, ანტიკური მითების გიგანების, კუპიდონების, ხის მჭერლებისა, ანტიკური ფიგურების გამოყენება ნიურნბერგის, აუგსბურგისა და ჰამბურგის ისტატებისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა ამ პერიოდში (XV-XVIII სს.) ორიგინული ვერცხლის სხვადასხვა ფორმის თახები მალაღ ფიგურ გავრცელებულია მიუღწევრობაში (ინგლისშიც, საფრანგეთშიც), სხვა ქვეყნების ნაწარმისაგან გერმანულ



ვერცხლის კათხა სოფელ ჩაჰაშიდან

ვერცხლის ჭურჭელს განასხვავებს სწორედ ეს სკულპტურული სამკაული.

კათხის ზედა ნაწილს გარშემო გასდევს ქართული წარწერა — მხერხულით შესრულებული. წარწერა გრძელდება კათხის სადგამზე, აქც იგი გარს უღლის სადგამის ზედა ნაწილს და წარწერის ორი სიტყვა მთერ სტრიქონში არის გადმოტანილი. წარწერა სვედათაა შესრულებული. წარწერის ავტორს მისთვის ჭურჭლის ის ნაწილები გამოუყენებია, რომელიც უინანებტოდ იცვნ დატოვებული.

წარწერა ასეთი შინაარსისაა: ქ. შემშიწორავს : * ვ: ვერცხლის: კათხა : * მე ერისთავს : * შომიტას: უშუკლის: დედამოთისათვის: ჩეინდ : * საღღგრძილოდ : * და: გასამარჯვებლად: ამინ: ღმერთთ.

წარწერა პირველად წაკითხულია ევთ. თაყაიშვილის მიერ.

საინტერესოა თვით ფაქტი ვერცხლის ნივთის შეწერისა უშუკლის ცკლქისისადმი. ჭურჭელზე უშუკლის ღვთისმშობელია მოხსენიებული, და მართლაც, ეს თაბი თავდაპირველად ეწეულია სოფ. ვიბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში ინახებოდა. უშუ. თაყაიშვილს 1910 წ. იგი სწორედ ამ ეკლესიის ნივთებს შორის აქვს მოხსენებული⁷. მხოლოდ უკანასკნელ ხანს ეს ჭურჭელი უშუკლის სხვა ეკლესიების სახანძურთან ერთად გადმოტანილია და თავმოყრილია ჩაჰაშის მაცხოვრის პატარა ეკლესიაში, რომელიც პატარა ბორცვზე შემდგარი მთელს სოფელს გადმოკურებს.

წარწერა ძალზე საინტერესოა, რადგან აქ სრულიად გარკვეული ისტორიული პიროვნებაა მოხსენიებული. როგორც თავის დროზე სასესიო სამართლიანად აღინშნა ევთ. თაყაიშვილმა, ეს შომიტა უთუოდ რაჭის ერისთავი შომიტა უნდა იყოს.

იმის გამო, რომ შომიტას სახელით ცნობილია რაჭის სამი ერისთავი, რომლებიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ, ძნელი გაპარკვევია, კერძოდ, რომელი ერისთავის შესაწერავს წარმოდგენს ეს კათხა. ამ შემთხვევაში მინდვილთან სხვადასხვა თვით წარწერის ხასიათის საშუალებით შეწერის დროის გარკვევა. ჩვენი წარწერის ზოგადი ხასიათი, წერის მანერა, ზოგიერთი



ასოს დაწერილობა, ზოგიერთი სიტყვის ფორმა ახლოს დგას XVIII ს-ის პირველი ნახევრის მხედრული დამწერლობის ნიმუშებთან (მაგ. 1738 წლის ხელნაწერი Q 860 (ფ. 39) ⁸, საბას „სიტყვათა კონა“, მისი ძმის, ზოსიმე ბერის გადაწერილი 1725 წ. და სხვ.). თუმცა ლითონზე შესრულებული წარწერები საგრძნობლად განსხვავდებიან შევსრულებული ნაწერისაგან, მაინც, სპეციალისტების აზრით ⁹, წარწერა XVIII ს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება რაჭის ერისთავის ენობრივ გარკვევას, წარწერის დათარიღებას საშუალებას გვაძლევს ზუსტად ვაჩვენოთ, რომელ შოშიტას შეუწირავს ძღვენი სვანეთის ლეთისმშობლის გელკისისათვის.

რაჭის ერისთავების შესახებ ერთადერთ და სარწმუნო წყაროს ვახსენებ ისტორია წარმოადგენს. მისი მიხედვით ირკვევა, რომ სულ სამი შოშიტა ერისთავი იყო, მათგან პირველი იყო მაგარტ IV იმერთა მეფის თანამედროვე, იგი რაჭის ერისთავად გახდა 1535 წ. წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი რომ არ გვემყვებოდეს, ეს შოშიტა მაინც ვაჩვენებთ, რადგან თვით ისი XVIII ს-ის დასასრულსა და XVII ს-ს დასაწყისისა, და პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა მისი შეწერა მის მიერ. მეორე შოშიტა — XVII ს-ის შუა წლებში ცხოვრობდა, გარდაცვალა 1684 წ. წარწერის ხასიათის მიხედვით, ეს ერისთავი უნდა უკუვაგლით, რადგან XVII ს-ის შუა წლებში ამგვარი წარწერა არ შეიძლებოდა წარმოემართო. ამგვარად, რჩება მესამე შოშიტა — ერისთავად ასული 1696 წელს, გარდაცვლილი 1731 წელს. ამ შოშიტას შესახებ ვახსენებ ისტორიაში ბევრ საინტერესო ცნობას გვხვდებით — იგი მუდმივი მინაწილი იმ გაუთავებელი შუღლისა და ომანობისა, რასაც ადგილი ჰქონდა XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის დასაწყისის დღე. საქართველოში იგი ენაობისაგან მეფის გვარსაც (მას ცოლად ჰყავდა მეფე ალექსანდრეს ქალი) და იმერეთის აბაშიძეებს (დედაძიის, პაპუნა რაჭის ერისთავის ქვრივი, ცოლად შეირთო მეორე ცოლის განტეგების შემდეგ აბაშიძემ). იმ ბოლომოუღებელ ჭამთა სიკვამში, ფეოდალთა ურთიერთ მზაკვრობაში, მყუდროებად შუღლი შოშიტა ერისთავი ნიშნავდა მძალს წარმოადგენდა. იგი ხან მიუფეს ემხრობოდა აბაშიძეებს და სხვა ფეოდალთა წინააღმდეგ (როგორც ეს 1707 წელს მოხდა — გიორგი VI მეფედ აღიარა — კათალიკოსთან და გენათლიან შერთულებულნი),¹⁰ ხან კი ლიპარტიანებთან და აბაშიძეებთან ერთად ილაშქრებს მეფის წინააღმდეგ (როგორც ეს მოხდა ფარცხანაყანებთან 1709 წ.).¹¹ სწორედ ამ შოშიტა ერისთავმა 1720 წ. „აილილო ციხე კაცები და გამიიღო სავანძური მისი“, ხოლო შემდეგ სხვა მისავართა ნიშნის მოსაგებად მარტომარტო შეეგება ალექსანდრე მეფეს და „მისაც კაცები და სავანძური მამისა თვისისა“.¹² შოშიტა ერისთავი შეეწირა კიდევ ამ შინა ომებს. 1721 წელს მან ალყა შემოარტყა იაშვილების ციხეს, არ ისინი ერისთავმა ალექსანდრე მეფის რჩევა — აუღო ხელი ციხეზე, შემუხრა მეფემ მოალყენი და დაიღალა იქ ურჩი ერისთავი.

ჩვენი ვერცხლის ბარძიმი სწორედ ამ ერისთავის შესაწირავს უნდა წარმოადგენდეს. რაჭის ერისთავის მიერ ძვირფასი ჭურჭლის შეწერვა სვანეთის სალიტავისადმი არ უნდა გვაკვირვებდეს, თუ გავითვალისწინებთ ქრისტიანული რელიგიის საყოველთაო ხასიათს შუა საუკუნეებში, და იმასაც, რომ სვანეთის ბევრი სალიტავი იზიდავდა მორწმუნეებს არა მარტო თვით სვანეთის ყველა თემიდან, არამეც საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც. უნდა აღინიშნოს, რომ, თუნაც სვანეთი თითქმის იზოლირებული იყო დანარჩენი საქართველოსაგან, მაინც იგი უფრო ახლო ურთიერთობაში იყო, ვიდ-

რე ეს საფრეებელია. სწორედ იმ დროს, როდესაც კლავდ ალშვევებულმა გიორგი მეფემ შეირთო რაჭის ერისთავის და დაწინაურდა რომად გიორგი მეფის ასული, მან „დაასადგურა რომად სვანეთის ძი-თურთ“.¹³ როგორც ჩანს, სვანეთი შედარებით უფრო მხედრულ კუთხე იყო მიჩნეული, მაგრამ (1716 წ.) აქაც მიავსენ დედოფალს, „მოუხვეწეს სვანეთს ბეგან და ზურან აბაშიძე დედოფალს რომადს, იავარ-ჰყვეს და წარვიდნენ“.¹⁴ ეს ამბავი სწორედ მესამე შოშიტას დროს ხდებოდა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ამ ურთიერთობებში, ძნელ-ბედობაში სვანეთიც იყო ჩარეული. და ასეთი ვითარებაში სვანეთის ცნობილი სალიტავისათვის ძვირფასი ჭურჭლის შეწერვა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალის, რაჭის ერისთავის მიერ სრულიად გასაგები ხდება.

გვიანი შუასაუკუნეების გერმანული ისტატივის ნახელავი ვერცხლის ჭურჭლის აღმოჩენა სვანეთის ერთ-ერთ გელკისაში უკვე აღარავითარ გაოცებად აღარ იწვევს, თუ გავითვალისწინებთ უცხოური წარმოშობის მცირე ხელნაწების ძველთა საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას სვანეთის სხვადასხვა სალიტავებში.

ესე კაიხა ჩვენთვის საინტერესოა ორმაგად — ერთის მხრივ, საინტერესოა ერთი ნივთი, როგორც დასავლეთ ვერცხლის მცირე ხელნაწების გარკვეული ჯგუფის ტიპური ძეგლი და, მეორე მხრივ, — მისი ქართული წარწერა, რომელიც წარმოადგენს საინტერესო საბუთს, სადაც მოხსენებულია XVII ს-ის მიწურულს და XVIII ს-ის დასავლეთ საქართველოს მშვიდთავად ცხოვრების ერთ-ერთი უმაგირესი ფიგურა, რაჭის ერისთავი შოშიტა. თუმცა ამ წარწერიდან ვერ ვიგებთ ვერაფერს ახალს, მაგრამ რაჭის საერისთავოს შესახებ ისტორიული საბუთების ნაკლებობის პირობებში რაჭის ერისთავის მოხსენება კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მიმენტს წარმოადგენს.

შ ა ნ ი შ ვ ა ნ ა ბ ა :

¹ ამ ჭურჭლის შესახებ ცნობა აქვს ევეთ თაყაიშვილს საჩუქროლო-ციხურ ექსპედიციის ლუბჩან-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937 წ., გვ. 146). იგი მას უწოდებს „კაიხას, ფეხუბის მავიროს...“ ჩვენც ამ ჭურჭლს „კაიხას“ მოვიხსენიებთ.

² კაიხის ზომებია: სიმაღლე მილიონად — 29 სმ., ფეხის სიმაღლე — 11 სმ., თეთი კაიხის სიმაღლე — 12 სმ., კაიხის პილის დიამეტრი — საყრდენის დიამეტრი — 10 სმ.

³ Max Rosengard, Studien Über Goldschmiedekunst in der Sammlung Fidor—Wien, Wien, 1910.

⁴ იხ. დიდიბრონტ გრავიურები გელკისის ფიგურებში.

⁵ M. Rosengard, Der Goldschmiede Merzliche, Frankfurt am Ma in, 1890, p.290.

⁶ ცნობილი მხატვრის მამა, წარმოშობით უნგრელი: 1455 წ. უნგრეთიდან ჩაიღო ნიჭიანბუნება და იქ სასლავა, ცნობილია, როგორც ამ ძალის ერთ-ერთი განმჩენელი იურამველი.

⁷ ევეთ. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლუბჩან-სვანეთში 1910 წ. პარიზი, 1937, გვ. 146.

⁸ ქართული წერის ნიმუშები, თბილისი, 1949, გვ. 265.

⁹ წარწერის შესახებ ასეთი აზრი გამოთქვას საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. ქუთათაძემ, მ. შოშიტაშვილი და შოთა ბურჭულაძე, ზოგიერთი სიტყვის ფორმის მიხედვით (მაგ. „ვეცხლ“ და არა „ვეცხლ“—როგორც ეს უფრო ადრე გვხვდება), წარწერა უკუხვალა XVIII ს-ის უნდა იყოს.

¹⁰ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, II გამოც. ნ. ჰიქონისაგან, თბილისი, 1913, გვ. 337.

¹¹ იქვე, გვ. 338.

¹² ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, II გამოც. ნ. ჰიქონისაგან, თბილისი, 1913, გვ. 349.

¹³ იქვე, გვ. 344.

¹⁴ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, II გამოც. ნ. ჰიქონისაგან, თბილისი, 1913, გვ. 346.



ვასილ კიკვიძის

თანამშრომლობითან

თამარ გომართელი

კოტ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა სახალხო თეატრების ფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრმა ფესტივალზე წარმოადგინა დრამატურგ ვ. დარასელის პიესა „კიკვიძე“. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს დადგმა თვალსაჩინო მოვლენა იყო თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის შემოქმედებით მუშაობაში. პიესის ავტორი ვ. დარასელი საინტერესოდ ასახავს კიკვიძის გმირული ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ნაწრითი მეთაურების, სარდლების საბრძოლო წარმატებანი მართკ იმით როდი აიხსნება, რომ ისინი განსაკუთრებულ სამხედრო-სტრატეგიულ ნიჭს და


სახალხო საქმისათვის უსაზღვრო თავდადებას ამქვეყნებენ. ხალხის წრიდან გამოსული ეს მეთაურები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მშრომელ მასებთან, ესმოდათ ხალხის სულისკვთვება.

აი, ამ ახალი ტიპის მეთაურის თვისებებით იყო დაჯილდოებული კიკვიძე.

პირველი სცენა იწყება იმით, რომ კიკვიძის დივიზიის შტაბში გამოცხადდება ღონის კაზაკი მინაი დუდნიკოვი. იგი კიკვიძისთან მიდის, როგორც სტანიცა პრეობრატენსკაიას კაზაკობის წარმომადგენელი. თვითონ მინაი ხელმოკლე კაზაკია, მაგრამ ის თვითგარდელ გენერალ სტანიკოვის გაგულის ქვეშ იმყოფება. სტანიკის კაზაკობის სახელით დუდნიკოვი კიკვიძისადან მოითხოვს დივიზია გაიყვანოს ამ ადგილებიდან. კიკვიძე აუღელვებლად იმინს სიტუაციის მიერ შოგონებულ მინაის „ულტიმატუმს“. იგი გულთბილად ესაუბრება მოხუც კაზახს, ოხუჯობს, უბრძანებს თავის მებრძოლებს თავაზიანად მოეპყრან კაზაკობის წარმომადგენელს. მინაის გაჟი ნიკოლაი უკვე მიიმხრო კიკვიძემ. სახალხო საქმისათვის თავდადებული ნიკოლაი დივიზიის საუკეთესო მებრძოლია. ეს აღიზიანებს მოხუც მინაის, იგი მზადა ყელში სწვდეს „განდგომილ“ შვილს. მაგრამ ერთ ღამეს კიკვიძე სასუბით მოულოდნელად, ნიკოლაის თანხლებით, მიდის მინაის სახლში სტანიცა პრეობრატენსკაიაში, რომელიც თვითრებს უკავიათ. აქ სუფრაზე გულთბილად საუბარში კიკვიძე უხსნის კერპ და უდრეკ მინაის, თუ რისთვის იბრძვის სამტოთა ხელისუფლება, წითელი არმია. კიკვიძე ერთბაშად შესთავაზებს მინაის წითელი კაზაკების ასეულის მეთაურობას. კიკვიძის ლაღი, მზირი ბუნებით მოზიზღული მინაი, რომელმაც მინაი, რომ კაზაკობის ნაწილი უკვე გადავიდა წითელი არმიის მხარეზე, თანხმდება დივიზიის მეთაურის წინადადებას.

სპექტაკლის წარმატება უპირველესად პიესის იდეურ — მხატვრულმა ღირსებამ განაპირობა. „კიკვიძე“ ახალი საზოგადოებრიობის დამკვიდრებას და ახალი ადამიანის დაბადების რთულ პროცესებს გვიჩვენებს. პიესაში იგრძნობა მთავარი მოქმედი გმირისადმი ავტორის უსაზღვრო სიყვარული, რომელიც მავურებელსაც გადაეცემა. ვასავეგია, რომ ძნელი მსახიობმა სცენაზე ისე წარმოგიდგინოს უკვე ლეგენდად ქცეული ადამიანი, რომ სული ჩაუდგას, ხორცი შეასას ჩვეს ოცნებაში შექმნილ წარმოდგენას.

ამ სიძნელის დალღევა შემოღ სტუდენტმა ანზორ ჯვარელმა სცენაზეა სახელგანთქმული დივიზიის მეთაური, გარკვეულად მიმზიდველი. ჯვარელი კარგად ხსნის კიკვიძის შინაგან ბუნებას, ხსი-



ათს, მისწრაფებას; იგი წარმოვიდგინეს რევოლუციის საქმისადმი ბოლომდე ერთგულ ახალგაზრდა ქართველ კაცს, მტრისადმი შეუღობიერებელს და უღმობავს, მაგრამ ახლობლისადმი გულისხმიერსა და გულმართალ ადამიანს, ბრძოლაში მოიხრებულს, უშიშარს.

ჯავახიძის კვიციმე შეუპოვარი მებრძოლა, მკაცრი და დაუნდობელი, მაგრამ „კინ შედრება გულდასაშინაში!“ — როგორც ამას მართებულად შენიშნავს მისი ერთგული მეგობარი ტიტკოვ. მსახიობმა დ. მეგრელიშვილმა საინტერესოდ წარმოადგინა ტიტკოვის იერსახე, ხელი შეუწყო მთავარი მოქმედი პირის — ვასილ კვიციის შინაგანი ბუნების გახსნას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კვიციისა და მისი ხელკეციითის ნიკოლაის მისთვის სცენა კორუპციულების ოჯახში. ეს თავისებური „სტუმრობა“ რისკაანაა დაკავშირებული, შორს გამიზნული ნაბიჯი. იგი ნაკანახევია იმით, რომ სიმართლე შეიტყვის მშრომელმა კახაკმა, რომელსაც თავის დროზე ერთგულების ფიცი მიუცია ფეისი და მეფის წინაშე.

შესანიშნავია რევოლუციის დროშის გადაცემის სცენა. ეს ეპიზოდი კვიციის მხედართმთავრული წარმატების ტრიუმფს გვაუწყებს. მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული კვიციმე ფიცს სდებს ახალი შემართებით იბრძოლოს კლავაც. მისი ფიცი წინდა და ურყევია, როგორც წინდა და ურყევია მისი ხალხის ერთგულება და თავდადება სამშობლოსადმი.

კვიციმეს მხარს უმჭვნენს მისი ერთგული თანამეგობრე — დივიზიის კომისარა მიხეილ მედოესკი. მედოესკი — რ. ჩიჩუა მიხრებულად შენიშნავს, რომ ბრძოლაში საჭირო არა მარტო პირადი მამაცობა, განვლადობა, არამედ მტკიცე, შენდებული მოქმედება,

მოსკოვლი კვიციმელები თავიანთი ყოფილი მეზაურის ვასილ კვიციის საფლავთან



ორგანიზებულობა, რადან მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებას სწევდეს მამაცობა, და რეინსტერე დისცილინა.

დამაჯერებელია კომისრის სიტყვა და მისი „შინაგანრებელი“ რჩევა-დარიგება. რ. ჩიჩუას კომისარა მედოესკი მოქმედებს თავად-ჭირილად, ტკეპილად, კონკრეტული ვითარების შესაბამისად, „მისი ძალა“ ბოლშევიკ-კომისრის შინაგან რწმენაზე, რომელსაც იგი უნერჯავს კვიციმეს.

მედოესკი კვიციმესთან ერთად სახმედრო ტალანტი ავლენს ფრთხილს ყველაზე მთელ უბნებზე. ცხველების ხასხუ იგი ამხნველს მებრძოლს.

ძველი კახაკის მინაი დუდნიკოვის დასამასხორებელ სახეს ქნის სტუდენტკი — მსახიობი გ. თავებრიძე, რომელმაც როლის დრმა შინაგანი ვაგიმით გადაშალა მინას სულიერი ტრავმაცია. პირველ სახანში მოხუცი დუდნიკოვი ვერ ვერკვევა ვითარებაში, არ იცის, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე. შთამბეჭდავია მისი შეხვედრის სცენა კვიციმესთან. კვიციმე მოხუცს დაარწმუნებს, რომ ხალხი-სათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოტანა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შეუძლია. თავებრიძე კარგად გადმოცემს დუდნიკოვის გარდატეხის პროცესს.

შთამბეჭდავია ზ. გონიშვილი პრასკოვია პავლოვნას როლი. შვილისადმი დღდის მურყულ სიყვარულით გაბნობი, მიმირღვეული სახე გამოსკვევთა მსახიობმა. კვიციის დივიზიამ მოხალისედ მისივე პატარა ბიჭის გირიშუტკას როლი ცოცხლად და უშუალოდ ასრულეს მსახიობი ბ. ზარიშვილი.

ეპიზოდური, მაგრამ რთული როლია გენერალ სიტნიკოვის როლი. მოტყუებული გენერალი, რომელსაც თავად ციციშვილის „სახით“ თავს დასდგობია გადაცემული კვიციმე, არ იცის, თუ რა განსაცდელის წინაშეა; ამ როლის შემსრულებელ გამოუცდელ მსახიობს ყოველთვის ელის გაჯალბების საშიშროება. სასიხარულოა, რომ ჯერმალ ტკეპელმა დამაჯერებლად ჩაატარა მთელი ეს სცენა.

სპექტაკლის საინტერესო სახე კახაკი ქალი. ნიჭიერმა მსახიობმა კარგად გადმოცევა ქალის შინაგანი წინააღმდეგობანი და ეს სახე ბოლომდე დამაჯერებელი გახდა მაყურებლისათვის.

მსუბუქი იუმორითაა გაბნობი კვიციის ხელკეციითების — ხომეგოსა (რ. ტრელაშვილი) და ტიტკოვის (დ. მეგრელიშვილი) სახეები.

სპექტაკლში განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული სცენები — დღესიკოვთან და გენერალ სიტნიკოვთან. უკანასკნელ სცენაზე ენოციერად ჩატარდა კვიციისა და მარფას შეხვედრის სცენა. ამას ხელი შეუწყო მარფას როლის შემსრულებელმა მ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც მხიარული, გულბრაკიული და დადგომილი გოგონა წარმოსახა. კარგად არს დამუშავებელი მასობრივი სცენები. დაძაბული დრამატული სიტუაციების მიუხედავად, ზვერი სცენა იუმორით არის გაბნობი.

„კვიციმე“ გმირული სპექტაკლია. სწორედ ასეთ სპექტაკლში ითქმის, მისი ნახვის შემდეგ თეატრიდან გამოსულ მაყურებელს სჯერა — მასაც შეუძლია გახსნდ გმირი, ამ არს განამტკიცებს ფინალური სცენაც.

სპექტაკლი მთავრდება კვიციის გმირული დაღუპვით, მაგრამ კვიციმე ძირს კი არ ეცემა, არამედ ქანდაკებასავით აღიმართება...

თორის მიერ სპექტაკლი რეკომინდირებულ იქნა საკავშირო ფსტივალზე მონაწილეობისათვის მოსკოვში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ სახალხო თეატრების ფესტივალზე მოსკოვში, წარმატებით გამოვიდნენ ქ. ცხაკაიას, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და ბოლნისის სახალხო თეატრები. თბილისელებმა მეორედ მიიღეს მონაწილეობა თვითმოქმედი თეატრების დათავაღიერებაზე. პირველად 1963 წელს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრმა მეორე ადგილი დაიკავა.

მოსკოველებმა თბილისის სტუდენტებს შეხვედრა მოუწყვეს კურსკის ვაგზალზე. ქართველ სტუდენტებს დახვედრა ტიმირიაშვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის, მოსკოვის ლომი-

კიკვიძის თანამებრძოლები სახელობის გადსაცემის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორის, პროფესორის ი. ფ. სარიშვილის.



ნისთვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თვითმომყვდი მხატვრული კლუბის წევრები.

30 მაისს, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრმა მისკოვის მთავრობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში უჩვენა პიესა „კიკვიძე“, რომელსაც დიდი წარმატება ზედა.

წარავლიტყვანმა მაყურებელმა მუხარებ ტაბით დააილიდოვა. სპექტაკლის მონაწილენი და რეჟისორი კ. მგავანაძე.

სტუდენტთა დადგამს მაღალი შეფასება მისცეს საკავშირო პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილების გამგემ ალ. მთაბერიძემ, სოფლის მეურნეობის პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ლ. ალექსეევმა, მეზღვაურთა ჯარების პოლიტბელმძღვანელობისა და მისკოვის მხატვრული თვითმომყვდების საოლქო სახლის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის ახლოდელი და მჭირფასია ლეგანდარული გმირის — ვ. კიკვიძის უკვდავი სახელი, და რომ სტუდენტთა სახალხო თეატრის კოლექტივმა შეძლო შექმნა ამაღლებული სპექტაკლი, სცენაზე გაეცხლებინა სამოქალაქო ომის გმირები.

სელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, ხელოვნების ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა გ. კიჩევიძემ ვრცლად ილაპარაკა სპექტაკლ „კიკვიძის“ დადგმის შესახებ:

„დიდი სიამოვნებით ვნახე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ვ. დარასვლის „კიკვიძე“. ეს საინტერესო სპექტაკლია ნიჭიერი და მზარდი შემოქმედებითი კოლექტივისა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასთვა სა-მოქალაქო ომის გმირის კიკვიძის როლის შემსრულებელმა ა. ჯვარელმა. იგი ცუცხლოვანი ტემპერამენტით აღინათვის მაყურებლის და თითქმის არწუხებს, რომ მათ წინაშე სცენაზე წამდგომი გმირი დგას. მას კარგ პარტიკრობას უწევს ექიმის როლში ლ. ჭარბაძე.“

სპექტაკლის გარჩევანი მონაწილეობა მიიღეს რეჟისორმა გ. ვუგუშვილმა და რუსეთის თეატრალური საზოგადოების უფროსმა კონსულტანტმა გ. კობინამ. მათ აღნიშნეს ა. ჯვარელის, ლ. ჭარბაძის, გ. თავაძეობის, თ. ზარიშვილის, რ. ჩიჩუას, რ. ჭრელაშვილის მაღალი სცენური ოსტატობა.

საკავშირო ფესტივალის თეორის გადაწყვეტილებით, რომელსაც თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, რუსის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ცარიოვი, სტუდენტთა სახალხო თეატრს გადაეცა საკავშირო ფესტივალის დიდი მედალი და მიენიჭა ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება. კარგი

შეფასება მისცა გავთვმა „პრავდამ“ სპექტაკლ „კიკვიძის“ და მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს ანზორ ჯვარელს. სტუდენტი მსახიობები დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომებითა და საკავშირო ფესტივალის ლაურეატობის ოქროს მედალებით. დაჯილდოებულთა შორის არიან რეჟისორი კ. მგავანაძე, სტუდენტი მსახიობები: ა. ჯვარელი, ლ. ჭარბაძე, გ. თავაძეობი, თ. ზარიშვილი, რ. ჩიჩუა, რ. ჭრელაშვილი და მ. ლორთქიფანიძე.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივისა და რეჟისორ კ. მგავანაძის დიდი სურვილი იყო სპექტაკლი „კიკვიძე“ უკრაინელი მაყურებლისათვის ეჩვენებიათ.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვ. კიკვიძის სახელს წმინდად ინახავს უკრაინელი ხალხი. მათ ასხივთ ამ სახელოვანი მეთაურის თავდადებული ბრძოლები თეთრფავარდელთა წინააღმდეგ. კიკვიძის სხონისაღმა უკრაინელი ხალხის ღრმა პატივისცემის გამოხატულებაა ის, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის პუტროის რაიონის ერთ-ერთ ახალ დად მდინარესაღმა მისი სახელი მიეკუთვნა. ქართველი ჩაპუტის წაწილები სამოქალაქო ომის დღის კვირის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ და დიდი ბრძოლებიც გადაიღეს ე. წ. მესანგეთა ველზე — დღევანდელი რეინიგზის სადგურ მეორე კიევის მიდამოებში, რომელიც აქვე ახლოს მდებარეობს.

ლენინური კომკავშირის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად კომკავშირის საბჭალქო კომიტეტის მიწვევით, შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრი საგანტროლოდ ეწვია უკრაინის დედაქალაქს. სადგურის ბაქანზე ხალხმრავლობა იყო. სტუმრებს ელოდებოდნენ სტუმართოვებარე კიეველები.

მეორე დღეს შვიტრი საქართველოს წარგზავნილებს დაათვა დიეტრინებს ჭებროის რაიონში მდებარე რეფოლუკური მუზეუმში, რომელიც ლეგენდარული გმირის კიკვიძის სახელს ატარებს.

მუზეუმში სტუმრების მოსვლა აქ დაწესებულ ცერემონიალს დაევსო. 80 წლის მოზიკე, კიკვიძის დივიზიის ყოფილი მებრძოლი ი. ეტიკოვი მორგობას იბარება და ე. ერკოლინაძეს. „კიკვიძის ჯარისკაცი მზად არის მორიგებისათვის!“ იმასთანავე კიკვიძის მოზუკის პატიკა აღფრთოვანებით უშურდნენ ახალგაზრდები სამოქალაქო და სამამულო ომის ორდენებით მეკრდამშენებულ ორ ვეტერანს.

აქვე მოუწვევს შეხვედრა ქართველ სტუმრებს დიდი მხედრობითაგის თანამებრძოლებმა ა. ერკოლინი, ი. ეტიკოვი და ს. ლემეშკომ, მ. სურგულაძე, ი. ზალინკამ, ე. ედმოვამ, ე. ივანოვამ, ე. ბელოვამ. ეს უკანასკნელი მუზნანელი სიტყვით გამოვიდა სტუმრების წინაშე და ილაპარაკა კიკვიძის მიერ განვლილი საბრძოლო გზაზე. საპასუხო სიტყვებით წარმოსთქვა საქართველოს სსრ კულტურის სა-



მსახობა თინა ზარიშვილი გრიშტკას როლში

მინისტროს წარმომადგენლებმა ე. გალუსტოვამ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტული კომიტეტის მდივანმა გ. კაპაბაძემ. ხოლო პროფკომის თავმჯდომარემ ნ. თეთრაშვილმა კიკვიძის სახელობის მუზეუმს საჩუქრები გადასცა. შემდეგ დათვალიერებს მუზეუმში და გაცემენ გმირის ცხოვრების ამსახველ უამრავ ექსპონატს. ნახეს ვასოს მაგვრიძის სურათი, ჩიხა, ყაბალახი, იქვეა გინაზიზის შესამე კლასიკური ვალდია მაიაკოვსკის ფოტო, რომელიც პოეტის დას ვერას გადაუცია მუზეუმისათვის. კიკვიძე და მაიაკოვსკი ერთ ხმით პერიოდში, 1905 წელს სწავლობდნენ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში. დაინტერესდნენ ჯარისკაცის ნინაბით, რომელიც ტყვიით არის გახრეტილი. იგი არტემ ანიშენკოს გამოუგზავნია. ნივთს ასეთი წარწერა აქვს: „ამით აჩაურთი სანგარი გამიხსრია ტროსტიანეთს და ელანთან, ზუბროლოვთან და პრეობრაჟევსთან“.

მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან ქალაქის პიონერ-მოსწავლეები და ძველი კიკვიძელები, რომლებიც დათვალაობებებს მოუხიბობენ ლეგენდარული გმირის ბოძოლებზე.

სტუდენტი მსახობები ესტუმრნენ კივის 88-ე და 132-ე საშუალო სკოლებს, სადაც საგანგებო კუთხუბია გამოყოფილი კიკვი-

ძის სხონის პატივსაცემად. ამ სკოლის პიონერთა რაზმული გმირის სახელს ატარებს. კიკვიძე არსებობს კიკვიძელთა სტუდენტთა 12, რომელიც კიკვიძის მე-16 მსროლელი დივიზიის ყოფილ-წოდვადარჩილთ ართიანებს. გულთბილი შეხვედრა მოუწევს სტუდენტებს კიკვიძის სახელობის ქუჩის მცხოვრებლებსაც. აქვე გადაწყდა — დასისათვის დათვილი ოქტომბრის სახელობის კულტურის სასახლის სცენა, რომელიც 2500-მდე მაყურებელს იტევს.

აღიშები და მოსაწვევი მართები კიკვიძეებს აუწყებდათ, რომ 29 მაისს საღამოს 8 საათზე კულტურის სასახლეში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის მსახიობები წარმოადგენენ „კიკვიძეს“.

კიკვიძის თანამებრძოლები: ვიტკოვი, ლემეკო, სერგვევი, ბელევი, ეროლინი, ჩერნიაკოვსკაია და თადარიგის გენერალ-მაიორი ილინი სცენაზე ავიდნენ და გულთბილად მიესალმნენ სტუდენტებს.

პარტერიში გაისმა ძველი რევოლუციური სიმღერა, რომლის პანგზე მწიობრი საბძოლო ნაბიჯებით გამოიარეს ვრცელი დარბაზი კიკვიძელებმა, თავლზე ცრემლიმორეული ავიდნენ ისინი სცენაზე, მობოლური სიყვარულით გულში ჩაიკრეს ახალგაზრდა მსახიობები. ტამა ივრიალა... სტუმრებს მიესალმნენ კიკვიძე მცხოვრები ქართველები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ლუმაბაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. სტურუა, არქიტექტორი კ. ხვიჩია, ჯ. ლებევერიძე, ზ. კიკვიჩიშვილი, ვ. ქუბაძე, რ. მესელა, გ. იაკობაშვილი და სხვები.

სტუდენტ-მსახიობებს უჩვეულო ვითარებაში უხდებოდათ სპექტაკლის ჩვენება — მათ უნდა განესახიერებინათ ის გმირები, რომელთა ერთი ნაწილი დარბაზში იმყოფებოდა და, რომლებიც ფარდის გახსნამდე სიტყვებითაც გამოვიდნენ. რვაჯერ ახიდა ფარდა, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და მქუხარე ტანით აჯილოდებდა სპექტაკლის მიწაწილებს.

„წარმოდგენამ უჩვეულოდ ამაღლდა — თქვა გადამდარმა პოლკოვნიკმა, ურაკოვსკამ. თითქმის ნახევარი საუკუნე გვიდა კიკვიძის დალუპვიდან. ჩვენ, ძველი კიკვიძელები, რომლებმაც მასთან ერთად განვიტოლ სამოქალაქო ომი, დავსწავით ამ შესანიშნავ სპექტაკლს, კვლავ გავისხნეთ განვილი გზა. დღეს, ამ თეატრში, კვლავ შეხვედრი ძვირფას ვასოს. ძალზე გამაკვირვა იმან, რომ დრამატურებმა, რეჟისორმა და სტუდენტმა მსახიობებმა შესძლეს სწორად და ნათლად აღედგინათ კიკვიძის და კიკვიძელთა სახეობა“.

„ისეთი ადამიანის ცხოვრება, როგორც კიკვიძე იყო, ვასაწავლის თუ როგორ უნდა გვიყარდეს სამშობლო და როგორ უნდა იბძობოლო მისთვის. ძველი კიკვიძელების სახელით მუსრს მადლობა მოვასახნო ძვირფას თბილისელ სტუდენტ-მსახიობებს იმ სიხარულისათვის, რომელიც მათ მოგვანიჭეს. წარმოვიგნა არ ვაგს თვითმოქმედი კოლექტივის ნამუშევარს. ეს არის ნამდვილი პროფესიული თეატრი“ — თქვა კიკვიძის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, პოლკოვნიკმა ი. ილინმა.

სტუდენტ-მსახიობებს არასოდეს დაავიწყებდათ ის სიხიბი და მეგობრული შეხვედრები, რომლებს კიკვიძე ყოფნასს განიცადეს.

სამშობლოში დამოგზავრების წინ მსახიობმა კიკვიძელებმა და ინსტიტუტის რექტორებმა საქართველოში სტუმრად მიიწვიეს ქართველი მეფედრომთავრის ყოფილი თანამებრძოლი.

საპოთა არმიისა და სამხედრო საპაერო ფლოტის 51 წლის-თავის ზემოთს დღევანდელ, 22 თებერვალს დღითი თბილისის რეინგზის საღურზე უკანონოდ მეგობრებს შეხვედრა მოუწევს ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ მასწავლებლებმა. აქ იყვნენ ინსტიტუტის რექტორი ი. სარიშვილი, პარტიურის მდივნი მოადგილეები ვ. ქაჯაია, ვ. ზუიადაძე, პროფკომის თავმჯდომარე ნ. თეთრაშვილი, სახალხო თეატრის რეჟისორი ვ. მეთაქანაძე და სხვები.

დღევანდის ხელმძღვანელებმა, თადარიგის პოლკოვნიკმა ა. ერკოვიმ სტუმრების სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა ყველას გულთბილი და ამაღლებელი შეხვედრისათვის.

სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს ვასილ კიკვიძის ძეგლი, და-

ათვლიერეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი კორპუსები დიღომში, გაეცნენ ინსტიტუტის სასწავლო-საედილი მურნეობების მუშაობას.

25 თებერვალს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეხვედრა მოუწევებს ვ. კიკვიძის თანამებრძოლებს: თადარიგის გენერალ-მაიორს პ. ილინს, თადარიგის პოლკოვნიკებს ა. ერკოვიჩს, ა. ვიდეკოვს, მ. სურგვევს, ს. ლემეშკოს, დედუგაციის წევრებს — კიველ არქიტექტორს ლ. ჯაფარიძეს და სკულპტორს ე. მელნიჩუკს, რომელმაც გამოძერწა უკვედრი გვირის სახე.

შეხვედრა გახსნა შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ი. სარიშვილმა. მიგონებით გამოიფიდა დედუგაციის ხელმძღვანელი ვ. კიკვიძის თანამებრძოლი ა. ერკოვიჩი. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ბავშვთა ტურისტული საექსკურსიო სადგურის წევრმა ნ. ხურციანიძემ. სტუმრებს მიართვეს საჩუქრები. კიკვიძელმა კი თავის მხრივ ჩამოიტანეს ვასილ კიკვიძის საბრძოლო დიდების ამსახველი ექსპონატების კომპლექტი და ფოტოსურათი, სადაც დივიზიის მეთაური აღბეჭდილია ვ. ი. ლენინთან მიღების დროს.

სტუმრებმა „საპატო კიკვიძელბადა“ აირჩიეს ინსტიტუტის რექტორი ი. სარიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი, დოცენტი ვ. კაბატაძე, რეჟისორი კ. შვიციანიძე, ნახიზი კ. ჯავახიანი.

შეხვედრის დასასრულს სტუდენტებმა წამოადგინეს ინსტიტუტის სახალხო თეატრის დადგმა „კიკვიძე“.

საღამო ქართველი და უკრაინელი ხალხის ძმური მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა.



სცენა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის სპექტაკლადან „კიკვიძე“

ორი ახალი სექტაკლი მოზარდებისათვის



ლუა — მ. ნერიასოვი, ლილია — ე. კარპაჩევსკაია

„ჩვენი ქვა უკრავს კლავანტზე“

თბილისის მოზარდ მავარებელთა რუსული თეატრის სამკაპალი

თბილისის მოზარდ მავარებელთა კართული თეატრის სამკაპალი

„ღონ სეზარ ლე ბაუნანი“

სადაც სეზარ ლე ბაუნანი





ვევებში მუსიკის აუცილებლობა ნაკარნახევი არა იმით, ჩავარდებულ, არა, ესა თუ ის ეპიზოდი ან ნაკლებ-შრამბუდავი ნაკლებ ვევეტუტორი იქნება იგი, არამედ იმით, რომ აჩვენებს თუ არა მუსიკა რაიმე ორიგინალურ აზრს ან ფიციას ამა თუ იმ სცენას, რომელიც უმისოდაც იარსებებდა.

კინემატოგრაფიული ორგანიზმის ამგვარ მთლიანობაში, პლასტიკური მუსიკის ამგვარ ქულრადობაში, რაზეც დამაჯერებლად და დაიყინებით სწერდა ს. ხუნციშვილი, უმუსიკობა შეიძლება აღვიკვათ კონკრეტულ, გააზრებულ, არა შემთხვევით, არამედ ნაწარმოების სტრუქტურით განსაზღვრულ ფაქტად.

ტექსტი მოლაპარაკე ფილმში ვარკვეულად ამოწურავს ნაწარმოების შინაარსს, უფრო სწორად, გამოისახელობითი მხარე დამხმარე როლს თამაშობს ტექსტთან შედარებით. ასეთ შემთხვევაში, როცა ძირითად ინფორმაციას იღებდა ტექსტის მსმენელი და არა ფილმის მყურებელი, აუცილებელი შეიქნა სხვა ხმოვანი არხების როლის შემცირება. ეს შემცირება ხდებოდა უმეტესად კინეფილმად, ვინაიდან ფილმების უმრავლესობაში ხმაური გამოიყენებოდა ნატურალისტურად და არ ართულებდა აღქმას. უფრო ნაკლებ მტკიცებულად მონდა მუსიკის შემცირება ისევ და ისევ სიტყვის ყოვლისმომცველი და სრულყოფილიაობის შემცველობით. სიტყვამ გამოხატა ფილმში აზრი, პათოსი, ინტონაცია.

თანამედროვე მოლაპარაკე ფილმში ხმოვანი ტექსტი იქნეს წინადა მუსიკალურ წინადას. კრიზისულურ, პოლტიკურ, საწარმოო კონფლიქტებზე აგებული ასეთი ფილმების აზრობრივმა და ინტონაციურმა თავისებურებებმა ცალკეულ შემთხვევებში თითქმის სრულად განდევნეს მუსიკა. რეჟისორ ე. ერმელერის ფილმში „დიდი მოქალაქე“ (1938 წ.) მუსიკა ძალიან მცირეა, „თორმეტ განრისხებულ მამაკაცში“ (რემ. ს. ლიუბეტი. 1958 წ.) კი — სულ რამდენიმე ტაქტი.

უმუსიკობა ასეთ ფილმებში ამავილებს რაყურებლის ყურადღებას. იგი პირველ რიგში ფილმის მკერფად და მასწავლად აღიქვამს ხელმის ერთადერთ ხმოვან ელემენტს — სიტყვას. მოლაპარაკე ფილმისგან მიღებულ ინფორმაციას რაოდენობა არ ნაწილდება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მუსიკას ხშირად შექმნილ ისტორიულ წინაპირობებს აგვეწინააღმდეგებოდა მათურებელი ასეთი აღქმამდე დასაყუს, მაშინ უფრო უაღილო მოგვეჩვენება მისი არსებობა ფილმში.

მუსიკის შემცირებისას მიმდინარეობს სრულად გამართლებული ეკონომიური პროცესი. ინფორმაციის, განსაკუთრებით სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის სიმრავლე ღლის მსმენელ-მაყურებელს, რაც

ფილმი უკუსიკოდ

ირინა შილოვა


